სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 115

2022 წლის 20 ივნისი

ქ. თბილისი

2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ” სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 27 მაისის N90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2022 წლის 17 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (N665796) შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება 2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ” სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 27 მაისის N90 ბრძანების დანართი N1 -ით დაამტკიცებული „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ პირობების მე-4 მუხლში და აღნიშნულ მუხლს დაემატოს 2^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
   „ 2^1 კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა - წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა კონკურსის პირობებთან“.
2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის სპეციალისტს, ლია მესხიძეს წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გააცნოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სასახურს.
3. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სასახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია მხარეებისათვის გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია